მშობელთა კლუბი – პარტნიორობა სკოლასა და მშობლებს შორის

„ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“
2023

საინფორმაციო გზამკვლევი მომზადებულია ორგანიზაციის მიერ „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, გაეროს ბავშვთა ფონდის და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ ასახავს ნორვეგიის მთავრობის და გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

სარჩევი

მზამკვლევის შექმნის წინაპირობა 3

ვისთვის არის მზამკვლევი 3

რას მულისხმობს ოჯახის და სკოლის პარტნიორობა? 4

რატომ არის მნიშვნელოვანი ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა? 4

რას მვასწავლის კვლევები ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობაზე? 4

როგორ შეიძლება მანვითარდეს ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა? 9

„მშობელთა კლუბი“ მშობელთა ჩართულობის ხელშესაწყობად 11

საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა კლუბის დაფუძნების მამოცდილება 13

მშობელთა კლუბის დაფუძნების პროცესი 13

მშობელთა კლუბის ფუნქციონირება: ფასილიტაციიდან – პროაქტიულ დამოუკიდებელ საქმიანობამდე. . 23

მშობელთა კლუბის თანამშრომლობა სკოლასთან, მშობლებთან 24

მშობელთა კლუბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მამოწვევები 25

რეკომენდაციები შეძენილი მამოცდილების საფუძველზე 26

მამოყენებული წყაროები 27

გზამკვლევის შექმნის წინაპირობა

საქართველოს ათ საჯარო სკოლაში მშობელთა კლუბის დაფუძნება განხორციელდა ორგანიზაციის მიერ - „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე“.

აღნიშნული გზამკვლევის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პროექტში ჩართული საჯარო სკოლების წარმომადგენლებს - დირექციას, მასწავლებლებს, სპეც.მასწავლებელებს, და რაც მთავარია, მშობელთა კლუბში გაერთიანებულ მშობლებს.

გზამკვლევი ასახავს საქართველოს ათი საჯარო სკოლის კონსოლიდირებულ გამოცდილებას მშობელთა კლუბის დაფუძნების იდეის ფორმირებიდან მის განხორციელებამდე.

ეს სკოლებია:

- თბილისის N64 საჯარო სკოლა
- თბილისის N175 საჯარო სკოლა
- თბილისის ნოღარ ახალკაცის N9 საჯარო სკოლა
- თელავის მერაბ კოსტავას N4 საჯარო სკოლა
- რუსთავის დიმიტრი უზნაძის N9 საჯარო სკოლა
- რუსთავის N21 საჯარო სკოლა
- მარნეულის N2 საჯარო სკოლა
- ქუთაისის N30 საჯარო სკოლა
- ბათუმის N3 საჯარო სკოლა
- ჩაქვის N1 საჯარო სკოლა

ვისთვის არის გზამკვლევი

გზამკვლევი განკუთვნილია იმ საჯარო სკოლებისთვის და მშობლებისთვის, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო სივრცეში მშობელთა კლუბის დაფუძნების სურვილი. გზამკვლევის მიზანია საგანმანათლებლო სისტემაში გააღვივოს დაინტერესება მშობელთა კლუბების მიმართ და გააფართოვოს მშობელთა კლუბების ფუნქციონირების პრაქტიკა.

რას მულისხმობს ოჯახის და სკოლის პარტნიორობა?

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა წარმოადგენს თანამშრომლობით ურთიერთობებს და ურთიერთშეთანხმებულ აქტივობებს, რომელშიც მონაწილეობენ სკოლის პერსონალი, მშობლები და მოსწავლეთა ოჯახის სხვა წევრები. ეფექტური პარტნიორობა ემყარება ურთიერთნდობას, პატივისცემას და სკოლაში ბავშვების განათლებაზე ერთობლივ პასუხისმგებლობას.

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა არის თანამშრომლობითი ურთიერთობა, რომელიც ძირითადად შექმნილია ბავშვზე დადებითი საგანმანათლებლო და სოციალური ეფექტების მოსახდენად და ყველა მონაწილე მხარისთვის მომგებიანია (ლუდერი 1998).

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობის ყენტრალური მახასიათებლებია (ბასტიანი, 1993):

- » ძალაუფლების და პასუხისმგებლობის გაზიარება, თუმცა, თითოეულ მხარეს აქვს განსხვავებული როლი;
- » ურთიერთდახმარების მაღალი ხარისხი, რომელიც იწყება ერთმანეთის მოსმენით და ორივე მხრიდან მოიცავს საპასუხო დიალოგს - „მიიღე და გაეცი;“
- » ერთობლივი მოქმედების ვალდებულება, რომელზეც მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად მუშაობენ.

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა:

- » თითოეულ მხარეს განიხილავს, როგორც თანაბრად ღირებულს და ყველას წვლილი თანაბრად დაფასებულია;
- » პატივს სცემს მოსწავლეთა საჭიროებებსა და პრიორიტეტებს;
- » ამცირებს სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის ბარიერებს და აქტიურად ეხმარება ახალი მოსწავლეების მშობლებსაც გახდნენ სკოლის თემის აქტიური წევრები;
- » აძლევს ოჯახებს შესაძლებლობას წვლილი შეიტანონ სკოლის გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში;
- » უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის გაუმჯობესებული პროგრამების და სწავლის შესაძლებლობების შექმნას.

რატომ არის მნიშვნელოვანი ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა?

ოჯახები თავიანთი შვილების სწავლისა და განვითარების პირველადი აგენტები არიან და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ბავშვებზე, როგორც სასკოლო წლებში, ასევე, სკოლის დასრულების შემდეგაც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე.
მშობლები, რომლებსაც კარგად ესმით განათლების სისტემა და სკოლების წინაშე არსებული სირთულეები, მხარდაჭერის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ სკოლებისთვის. სკოლები, რომლებიც რთავენ ოჯახებს თავიანთი შვილების სწავლის პროცესში, იყენებენ ინფორმაციისა და ექსპერტიზის მდიდარ წყაროს.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახებმა და სკოლებმა ერთობლივად იმუშაონ და ერთიანი ძალისხმევა გაწიონ მომავალი თაობების განათლების პროცესში.

რას გვასწავლის კვლევები ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობაზე?

ბევრი მკვლევარი აღიარებს ოჯახებსა და სკოლებს შორის ძლიერი პოზიტიური კავშირის მნიშვნელოვან როლს ბავშვების განვითარებასა და განათლებაში (ედვარდსი და ოლდრედი, 2000; ჰენდერსონი და ბერლა, 1994; რიჩარდსონი, 2009; Sanders & Sheldon, 2009; შელდონი, 2009).

კვლევებმა მხარი დაუჭირა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სკოლებსა და ოჯახებს შორის თანამშრომლობა განაპირობებს მოსწავლეებში კარგ აკადემიურ მიღწევებს, ასევე, სასკოლო განათლების რეფორმებს; წარმატებულ მოსწავლეებს აქვთ ძლიერი აკადემიური მხარდაჭერა მშობლებისგან, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში (შელდონი, 2009).

ამას გარდა, კვლევებმა აჩვენე, რომ დაბალ სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე უბნებშიც კი მოსწავლეები აღწევენ მაღალ აკადემიურ შედეგებს და ამის წინაპირობა ოჯახებთან თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად სკოლების მიერ გაწეული ძალისხმევაა. სანდერსი და შელდონი (2009) ირწმუნებიან, რომ სკოლები გახდებიან წარმატებული, როდესაც ძლიერი და პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდება მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და ადგილობრივ/უბნის თემს შორის.

კვლევები აჩვენებს, რომ მშობლები პირდაპირ ახდენენ დადებით გავლენას წარმატებულ საგანმანათლებლო პროცესზე და სისტემაზე. ეს ჩართულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა სწავლის გაუმჯობესებასთან, დასწრებასთან და ქცევასთან, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ოჯახის სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული სტატუსი.

ჰენდერსონმა და ბერლამ (1994) მიმოიხილეს და გაანალიზეს ოთხმოცდახუთი კვლევა, რომლებიც დოკუმენტურად ადასტურებდნენ მშობელთა ჩართულობის ყოვლისმომცველ სარგებელს ბავშვების განათლებაში. ეს და სხვა კვლევები აჩვენებს, რომ მშობელთა ჩართულობა განაპირობებს მნიშვნელოვან სარგებელს ბავშვებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვისა და მთლიანი სკოლისთვის.

სარგებელი ბავშვებისთვის:

» ბავშვები მიდრეკილები ხდებიან მიაღწიონ მეტს, განურჩევლად ეთნიკური თუ რასობრივი წარმომავლობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა ან მშობლების განათლების დონისა.

» ბავშვები ძირითადად აღწევენ უკეთეს სწავლის შედეგებს და ავლენენ უკეთეს დასწრებას.

» ბავშვები რეგულარულად ასრულებენ საშინაო დავალებას.

» ბავშვებს აქვთ უკეთესი თვითშეფასება, უფრო თვითდისციპლინურები არიან და ავლენენ უფრო მაღალ მისწრაფებებს და მოტივაციას სკოლის მიმართ.

» ბავშვების დადებითი დამოკიდებულება სკოლის მიმართ, თავის მხრივ, იწვევს სკოლაში ქცევის გაუმჯობესებას და უფრო იშვიათია დისციპლინური მიზეზების გამო ბავშვის სკოლიდან გარიცხვის ან სკოლის მიტოვების შემთხვევები. ნაკლებ ბავშვს სჭირდება დისციპლინის გამოსწორებაზე მიმართული დამატებითი ღონისძიებები.

» სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ბავშვები, როგორც წესი, უკეთესად მუშაობენ, როდესაც მშობლები და მასწავლებლები თანამშრომლობენ და ამოვსებულია „უფსკრული“ სახლის და სკოლის კულტურას შორის.

» განათლების ყველა საფეხურის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულნი არიან სკოლის ცხოვრებაში, უფრო ადვილად ახდენენ საფეხურებს შორის და სკოლის შემდგომ განათლებაში ტრანზიციას და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შეწყვიტონ სკოლაში სწავლა.

სარგებელი მშობლებისთვის:

» მშობლები ზრდიან თავიანთ შვილებთან ურთიერთობას, მეტად შედიან მათთან დისკუსიაში და მგრძნობიარე არიან მათი სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური საჭიროებების მიმართ.

» მშობლები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან აღზრდისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

» რაც უფრო მეტ ცოდნას იძენენ მშობლები ბავშვის განვითარების შესახებ, აღზრდის უფრო მეტად მოსიყვარულე სტილს ავლენენ, იყენებენ პოზიტიურ აღზრდას/განმტკიცებას და ნაკლებად მიმართავენ დასჯას.

» მშობლებს უკეთ ესმით მასწავლებლის სამუშაოს სპეციფიკა და სასკოლო გეგმა, ხოლო როდესაც მშობლებმა იციან, რას სწავლობენ მათი შვილები, ისინი უფრო მეტად ეხმარებიან ბავშვს სახლში და მეტი ენთუზიაზმით ერთვებიან შვილების სასწავლო აქტივობებში სახლის გარემოში.

» მშობლების აღქმა სკოლის შესახებ გაუმჯობესებულია და ძლიერდება კავშირი სკოლასთან და ერთგულება სკოლის მიმართ.

» მშობლები უფრო კარგად ერკვევიან განათლების პოლიტიკაში, რომელიც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ შვილებზე და უფრო აქტიურობენ, როდესაც სკოლა სთხოვს ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღებაში.

სარგებელი სკოლისთვის – მასწავლებლებისთვის და დირექტორისთვის:

» მასწავლებლები და დირექტორები, რომლებიც აქტიურად რთავენ მშობლებს, მაღალი ზნეობით გამოირჩევიან.

» მასწავლებლები და დირექტორები ხშირად მეტ პატივისცემას და აღიარებას იღებენ მშობლებისგან.

» მშობელთა თანმიმდევრული ჩართულობა განაპირობებს მშობლებს, მასწავლებლებს და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესებას.

» მასწავლებლებს და დირექტორებს უკეთ ესმით ოჯახების კულტურა და მრავალფეროვნება და მათ უყალიბდებათ უფრო ღრმა პატივისცემა მშობლების შესაძლებლობებისა და დროის მიმართ.

» მასწავლებლები და დირექტორები აცხადებენ, რომ იზრდება სამუშაოთი მათი კმაყოფილება.

» სკოლები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული მშობლები, უკეთეს რეპუტაციას იმკვიდრებენ საზოგადოებაში.

» სკოლები იღებენ მეტ მხარდაჭერას ადგილობრივი საზოგადოების/თემის მხრიდან.

» სასკოლო პროგრამები, რომლებიც წაახალისებს და ჩართავს მშობლებს, უკეთესად მუშაობს და აქვს მაღალი ხარისხი, ვიდრე იმ პროგრამებს, რომლებშიც მშობლები არ მონაწილეობენ.

როგორ შეიძლება განვითარდეს ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა?

ოჯახის და სკოლის პარტნიორობის განვითარება ყოველთვის ადვილი არ არის. აღნიშნული მოითხოვს ლოიალობას და დროს. სკოლამ არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა, რათა გაზარდოს და წაახალისოს ოჯახების ჩართულობა, დაინახოს და დააფასოს მშობლების ჩართულობის რეალური სარგებელი.

სხვადასხვა გარემოებების გამო, ბევრ ოჯახს, მშობელს დასჭირდება განსაკუთრებული მხარდაჭერა, რათა შეძლონ აქტიურად ჩაერთონ თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებაში და დაეხმარონ შვილებს მაქსიმალური მიიღონ სასკოლო განათლებიდან. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მიღებული სარგებელი ღირს გაწეულ ძალისხმევად.

სკოლის მიერ პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლა მოითხოვს ზოგიერთი სკოლისა და ოჯახის დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას, რათა შეიქმნას ურთიერთობები, სადაც ისინი ერთმანეთს ბავშვების განათლების მოკავშირეებად დაინახავენ.

ოჯახსა და სკოლას შორის პარტნიორობა უნდა იყოს გამყარებული შეთანხმებული პრინციპებით და სტრატეგიებით, თუმცა, უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული სკოლის სპეციფიკურ კონტექსტს და ოჯახის, სკოლის მთლიანი საზოგადოების მახასიათებლებს, სკოლის ზომას, სწავლის დონეს, მოსწავლეთა საჭიროებებს და სხვა თავისებურებებს.

სკოლამ უნდა შეაფასოს ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა და დასვას შემდეგი კითხვები:

- » რამდენად ხდება პარტნიორობა?
- » ვისი ინიციატივით ხდება პარტნიორობა?
- » არის თუ არა მტკიცებულებები თანამშრომლობისა და მშობლებთან პარტნიორობის შესახებ?

იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ოჯახსა და სკოლას ეფექტური პარტნიორობის განვითარებისთვის და შენარჩუნებისთვის, მიზანშეწონილია შემდეგი დამხმარე სტრუქტურების და პრაქტიკის არსებობას:

- » ოჯახი-სკოლის სამოქმედო გუნდი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პარტნიორობის დაგეგმვა, ორგანიზება, განხორციელებასა და შეფასებაზე;
- » სკოლის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს და აერთიანებს ეფექტური პარტნიორობის პრინციპებსა და პრაქტიკას;
- » მხარდაჭერის ქსელები, რათა სკოლის თემს გაუზიარონ იდეები, საკითხები და საუკეთესო პრაქტიკა.

ოჯახი-სკოლა პარტნიორობის პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, სფეროს სპეციალისტები და მკვლევრ ები სკოლებს მოუწოდებენ გადახედონ თავიანთ ამჟამინდელ დამხმარე სტრუქტურებს, პოლიტიკას და პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში განავითარონ ახლები.

აღნიშნული ახალი სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს ოჯახისა და სკოლის სამოქმედო ჯგუფის შექმნას სკოლის ლიდერებისგან, მასწავლებლებისგან, სპეციალისტებისა და მშობლებისგან ან უკვე არსებული გაერთიანების/ჯგუფის გამოყენებას, რომელიც გააწევრიანებს მშობლებსაც და პასუხისმგებელი იქნება ოჯახისა და სკოლის პარტნიორობის გეგმებისა და აქტივობების შემუშავებასა და განხორციელების კოორდინირებაზე.

ოჯახი-სკოლა პარტნიორობის სამოქმედო ჯგუფის პასუხისმგებლობები შეიძლება იყოს:

- » სკოლაში არსებული პრაქტიკის და ღონისძიებების შეფასება და ინფორმაციის შეგროვება მასწავლებლების, მშობლების, სკოლის ლიდერებისა და მოსწავლეების შეხედულებების, გამოცდილების და სურვილების შესახებ;
- » პარტნიორობის კონცეფციის მომზადება, რომელსაც დაადასტურებს სკოლის ხელმძღვანელობა და მშობელთა ქსელი და გაეცნობა სკოლის მთლიან საზოგადოებას;
- » სამოქმედო გეგმების შემუშავება, მიზნების დასახვა, ვადების და წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა ოჯახი-სკოლა პარტნიორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით;
- » დამხმარე ტრენინგების უზრუნველყოფა სამოქმედო ჯგუფის წევრებისთვის;
- » შეთანხმებული აქტივობების განხორციელების კოორდინირება;
- » პარტნიორული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება;
- » პრაქტიკის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და პარტნიორობის ახალი ვარიანტების შესწავლა/დასახვა.

სამოქმედო ჯგუფმა, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში მშობელთა ქსელის/ქსელების გაძლიერებას, გააქტიურებას.

„მშობელთა კლუბი“ მშობელთა ჩართულობის ხელშესაწყობად

ოჯახი-სკოლა პარტნიორობის ერთ-ერთი გამოხატულება, სკოლაში ფორმირებული „მშობელთა კლუბია“. მშობელთა კლუბი (ალტერნატიულად მშობელთა ქსელს ან ასოციაციას უწოდებენ) წარმოადგენს სკოლაში მოსწავლეების მშობლებისგან მოხალისეობრივ საწყისებზე ჩამოყალიბებულ არაფორმალურ გაერთიანებას, რომელსაც აქვს თავისი მისია, მოქმედების პროტოკოლი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს თავმჯდომარე და გამგეობაც კი.

„მშობელთა კლუბი“ თანამშრომლობს დირექტორთან, მასწავლებლებთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან და თავის მხრივ, ხელს უწყობს სკოლისა და მისი საზოგადოების კეთილდღეობას.

მშობელთა კლუბის წევრები იყენებენ თავიანთ უნარებსა და გამოცდილებას სკოლის საზოგადოების მხარდასაჭერად და ხელს უწყობენ სხვა მშობლებსაც სკოლის საზოგადოებისადმი მიკუთვნების გრძნობის ჩამოყალიბებაში.

თავიანთი როლის შესრულებისას მშობელთა კლუბებმა შეიძლება განახორციელონ სხვადასხვა სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ან ფონდების მოძიების საქმიანობები. მშობელთა კლუბი მოიცავს საქმიანობებს მშობლების მიერ, მშობლებთან ერთად და მშობლებისთვის. მშობელთა კლუბის წევრები თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ფასდაუდებელ მხარდაჭერას უწევენ მას სკოლის თემში ერთიანობის ჩამოყალიბებაში.

მშობელთა კლუბის აქტივობები შეიძლება მოიცავდეს:

- მონაწილეობა დისკუსიებში გეგმების შემუშავებასა და სკოლის ღონისძიებების ორგანიზებაში
- ახალი მოსწავლეების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა - მშობლების დაკვალიანება, საჭირო მხარდაჭერის გაწევა
- სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობა (მაგ.: „მამის დღე“).
- კინო-ჩვენებების გამართვა
- საგანმანათლებლო და გასართობი ექსკურსიები მოწყობა
- საინფორმაციო სესიები, ტრენინგები მშობლებისთვის
- კულტურული და სოციალური მრავალფეროვნების ხელშეწყობა და კულტურის დღეების მოწყობა
- სკოლის პოლიტიკის და განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ მშობლების შეხედულებების/ მოსაზრებების გაცნობა სკოლის ხელმძღვანელობისთვის (მაგ. ბულინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსწავლეთა ჩართულობის და კეთილდღეობა, ქცევის კოდები და სხვ.).
- სკოლის დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით სკოლისთვის დამატებითი სახსრების მოძიება ისეთი მიზნებით, როგორიცაა მაგ.: ბიბლიოთეკის წიგნების ან ტექნიკის განახლება და სხვ.)

მშობელთა კლუბები ყველაზე ეფექტურია, როდესაც არის მჭიდრო თანამშრომლობა და სამუშაო ურთიერთობა დირექტორთან და სკოლის საბჭოსთან, რაც შეიძლება მიღწეული იყოს შემდეგი სახით:

- ინფორმაციის რეგულარულად განახლების, ურთიერთგაცვლის და დისკუსიის შესაძლებლობა
- შეთანხმება და დირექციისა და საბჭოსგან ხელშეწყობა, როდესაც კლუბი გეგმავს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ ან ფონდების მოზიდვის ღონისძიებას
- მოსწავლეთა კეთილდღეობის საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი დისკუსიების გამართვა
- მშობელთა კლუბის წევრების მოწვევა სკოლის საბჭოს შეხვედრებზე
- საჭიროების შემთხვევაში, მშობელთა კლუბის წარმომადგენლის ყოლა საბჭოს წევრად
- მშობელთა კლუბის, როგორც მშობელთა უკუკავშირის საიმედო მექანიზმის გამოყენება სკოლის პოლიტიკის და ინიციატივების განხორციელებისას, რათა კლუბი დაეხმაროს სკოლასა და სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში.

სკოლის მხრიდან სათანადო ძალისხმევისა და მხარდაჭერის გაწევა აუცილებელია არა მხოლოდ მშობელთა კლუბის ჩამოყალიბებისთვის, არამედ ჩამოყალიბებულის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის, შენარჩუნების და გაძლიერებისთვის.

საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა კლუბის დაფუძნების გამოცდილება

საქართველოს ათ საჯარო სკოლაში მშობელთა კლუბის დაფუძნება განხორციელდა ორგანიზციის მიერ - „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“, პროექტის ფარგლებში „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNCEF) მხარდაჭერით და ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით. მოცემული თავი ასახავს საჯარო სკოლების კონსოლიდირებულ გამოცდილებას მშობელთა კლუბის დაფუძნების იდეის ფორმირებიდან მის განხორციელებამდე.

მშობელთა კლუბის დაფუძნების პროცესი

მშობელთა კლუბის დაფუძნების პროცესი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს აერთიანებს, რომელიც დაფუძნების პროცესში ჩართულმა მხარებმა ერთობლივად და თანმიმდევრულად გაიარეს. ეს ეტაპებია:

განვიხილოთ თითოეული ეტაპი ყაღ-ყაღკე

1.სკოლის წარმომადგენლების მხრიდან მშობელთა კლუბის დაფუძნების იდეაზე შეთანხმება და იდეის დამუშავება

მშობელთა კლუბის კონცეფცია ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის სიახლეა. შესაბამისად, აღნიშნული ინიციატივის რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია მხარდამჭერი გარემოს ფორმირება - სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოცემული იდეის გაზიარება და მოწონება. ამავდოულად, აუცილებელია აღნიშნული ინიციატივის კონკრეტული სკოლის კონტექსტში განხილვა და დამუშავება.

ამ პროცესს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მიზანმიმართული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების/სპეც.მასწავლებლების, მშობლების მონაწილეობით, რასაც კომპეტენტური ტრენერი და მენტორი შეიძლება უწევდეს ფასილიტაციას.

მშობელთა კლუბის დაფუძნებზე მიმართული ტრენინგი ხელს უწყობს საკითხში უკეთ გარკვევას, სკოლისთვის მშობელთა კლუბის სარგებლის გააზრებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კონკრეტული სკოლის კონტექსტში მისი ფუნქციონირების სპეციფიკის განხილვას, დაფუძნების ეტაპების განსაზღვრას, სკოლის წარმომადგენელთა შორის როლების, ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებას და სხვ.

სამუშაო შეხვედრებს მშობელთა კლუბის დაფუძნებისთვის პირველი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოყვეს, რაც როგორც წესი გულისმობს მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა განსაზღვრას, რეკრუტირებას.

შენიშვნა: საერთაშორის გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია სკოლაში მშობელთა კლუბის დაფუძნების ინიციატივა თავად მშობლებიდანაც მოდიოდეს.

მშობელთა კლუბის ფორმირებისთვის სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს სკოლის მიერ მშობელთა შესარჩევი კრიტერიების ერთობლივად განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ პირთა შორის დამფუძნებელ მშობელთა შერჩევა და კლუბის დაკომპლექტება ხორციელდება.

შესაძლო კრიტერიუმებია:

- მშობელთა შესარჩევი კრიტერიუმები
- მშობელთა კლუბში წარმოდგენილი არიან მშობლები განათლების ყველა საფეხურიდან
- მშობელთა შორის არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები
- მშობელთა კლუბის წევრებს შორის დაცულია გენდერული ბალანსი
- მშობლებთან ყოფილა თანამშრომლობის ეფექტური გამოცდილება
- მშობლები ხასიათდებიან პოზიტიური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებით
- მშობლისგან არის მიუკერძოებლობის მოლოდინი
- მშობლისგან არის მოლოდინი იზრუნონ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე

2. მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა რეკრუტირება

მშობლების იდენტიფიცირა, რომლებიც მშობელთა კლუბის დაფუძნებას და მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ რამდენიმე სტრატეგიითაა შესაძლებელი.

მოზანშეწონილია მოცემული სტრატეგიები სკოლის ადმინისტრაციის მონაწილებით ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის ფორმატში მასწავლებლებთან ერთად განიხილებოდეს.

მშობელთა რეკრუტირების მიზნით დროის დაზოგვის თვალსაზრისით ეკონომიურ სტრატეგიას წარმოადგენს ინფორმაციის პირველ რიგში იმ მშობლებისთვის მიწოდება, რომლებიც დამრიგებელთა მოსაზრებით შეთანხმებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებელთა არგუმენტი ამ მიდგომის სასარგებლოდ, როგორც წესი არის ის, მშობელთა კლუბში გაწევრიანებით მეტი ალბათობით სწორედ ის მშობლები დაინტერესდებიან, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობით, პოზიტიური კომუნიკაციით, არიან მოტივირებული და კლასის მხარდამჭერი.

აღნიშნული მიდგომით, დამფუძნებელ მშობელთა შერჩევას თავად სკოლა უზრუნველყოფს.

ამავდროულად, შესაძლებელია, სკოლა ინფორმაციას მშობელთა კლუბის დაფუძნების და დაინტერესებულ მშობელთა რეკრუტირების შესახებ ყველა მშობელთან ავრცელებდეს შესაძლო საკომუნიკაციო არხებით; ხოლო შემდეგ, უზრუნველყოფდეს მშობლების შერჩევას წარმოდგენილი სამოტივაციო წერილების, ან გასაუბრების საფუძველზე.

ინფორმაციის გასავრცელებლად სკოლა შესაძლებელია იყენებდეს შემდეგ შესაძლებლობებს: კლასის მესინჯერ ჯგუფები (ასევე დამკვიდრებული პრაქტიკა მრავალ სკოლაში); გაკრული განცხადება სკოლის შენობაში; განცხადება სკოლის ვებ-გვერდზე, Facebook გვერდზე და სხვ.

მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა განსაზღვრის/შერჩევის მიზნით, სკოლამ შესაძლებელია ჩამოაყალიბოს შესარჩევი კომისია, დაკომპლექტებული სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების და დამოუკიდებელი პირების მიერ ან მშობელთა კლუბის წევრების შერჩევა მიანდოს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებმა ჯგუფმა იხელმძღვანელოს შეთანხმებული კრიტერიუმებით და ამავდროულად, გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მშობელთა კლუბი დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც არ შედის სკოლის ადმინისტრაციის ან სამეურვეო საბჭოს დაქვემდებარებაში.

3. მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა ჯგუფის ფორმირება

მშობელთა კლუბის დაფუძნებით დაინტერესებულ მშობელთა იდენტიფიცირების შემდეგ, მომდევნო ეტაპს წარმოადგენს მშობელთა შეკრება და დამფუძნებელ მშობელთა ჯგუფის ფორმირება.

მნიშვნელოვანია საორიენტაციო და გაცნობითი შეხვედრების განხორციელება დაინტერესებულ მშობლებთან. აღნიშნული შეხვდრები, უნდა გულისხმობდეს, მაგრამ შესაძლებელია არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთ მოცემული საკითხების განხილვით:

- » დაინტერესებულ მშობელთა გაცნობა, მათი მოტივაციის და ძლიერი მხარეების გამოვლენა
- » მშობელთა კლუბის დაფუძნების იდეის წარდგენა; მისი სარგებლის გაანალიზება სკოლისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის
- » მშობელთა კლუბის მიზნის განსაზღვრა
- » დამფუძნებელ მშობელთა ფუნქცია-მოვალეობის, ჩართულობისთვის საჭირო ძალისხმევის და დროის სავარაუდოდ განსაზღვრა
- » უახლოეს სამოქმედო გეგმაზე მსჯელობის დაწყება
- » სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფორმატის განხილვა

მნიშვნელოვანია, საკმარისი დრო დაეთმოს მშობლების მხრიდან საკუთარი თავის და კომპეტენციების წარდგენას, იმისათვის რომ ჯგუფის წევრებისთვის ნათელი გახდეს თუ რა კონტრიბუციის უზრუნველყოფა შეუძლო თითოეულ მშობელს საერთო საქმისთვის.

შეხვედრების საკვანძო ეტაპს წარმოადგენს მშობელთა კლუბის მიზანზე და საქმიანობის სფეროზე მსჯელობა.

შენიშვნა: საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვლება, თუ სკოლას ექნება რესურსი და შეძლებს მშობელთა კლუბში გაერთიანებით დაინტერესებულ მშობლებს დაუორგანიზოს ტრენინგი მშობელთა კლუბის დაფუძნების და ფუნქციონირების საკითხებზე. მოცემული პრაქტიკული ტრენინგის ფარგლებში მშობლები იმსჯელებენ კლუბის საქმიანობაზე, გაეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას და ერთმანეთს, გამოიმუშავებენ თანამშრომლობის უნერებს და სხვ.

მოცემულ ეტაპზე მშობლებთან შეხვედრების შედეგს წარმოადგენს მშობელთა მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კლუბში ჩართულობაზე და თანხმობის მიღწევა მშობელთა კლუბის საქმიანობაზე.

4. მშობელთა კლუბის მიზნის განსაზღვრა

მშობელთა კლუბის მიზანი ინტენსიური მსჯელობის შედეგად განისაზღვრება. მნიშვნელოვანია მშობელთა კლუბის დამფუძნებელმა მშობლებმა ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები მშობელთა კლუბის შესაძლო საქმიანობაზე. მშობლებმა დასაშვებია განსაზღვრონ კლუბის საქმიანობის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება და საქმიანობები თითოეული მიმართულები სფარგლებში.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მშობელთა კლუბის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები და საქმიანობები.

სკოლის მშობლების გაძლიერება და სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის გაუმჯობესება

- - საინფორმაციო სემინარები მშობლებისთვის
- - არაფორმალური გაერთიანებული შეხვედრები მშობლებისა და შვილებისთვის

სკოლის განვითარების მხარდაჭერა

- - სკოლის საჭიროებების იდენტიფიცირება
- - სკოლის მხარდაჭერა მათი მოგვარებისას - მაგ. სკოლის ეზოს მოწესრიგება

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მშობელთა კლუბის მიერ განსაზღვრული მშობელთა კლუბის მისიის პირველადი ვერსია:

მშობელთა კლუბი და მისია / ფუნქცია

მშობელთა კლუბი წარმოადგენს სსიპ - XXXX საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების, მასწავლებლების და სპეციალისტების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური ჯგუფის სახით და რომელის მიზანია სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის გაზრდა და სკოლასა და მშობლებს შორის ინფორმაციის ეფექტური გაცვლისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარება. კლუბის მიზანს ასევე წარმოადგენს მოსწავლეებში, მშობლებში, პედაგოგებში, სპეციალისტებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებში თანაბარღირებულების განცდის გაღრმავება.
მშობელთა კლუბი თავისი საქმიანობისას წარმოადგენს სკოლის სრული თემის ინტერესებს და წვლილი შეაქვს სკოლაში ყველასათვის თანაბრად კომფორტული, საიმედო და მოსწავლეების სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაში.
მშობელთა კლუბი მონაწილეობს სკოლის თემისთვის (სხვა მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები, სპეციალისტები და სკოლის ადმინისტრაცია) აქტუალური საჭიროებების განსაზღვრაში და მათზე საპასუხოდ სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიების (მაგ.: სოციალური, სპორტული, საგანმანათლებლო და სხვ.) დაგეგმვა- განხორციელებაში.
მშობელთა კლუბის წევრები იკრიბებიან გარკვეული რეგულარობით წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით, რათა დაგეგმონ და განახორციელონ სკოლის თემისთვის სასარგებლო ღონისძიებები. კლუბს ჰყავს კლუბის წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე/ლიდერი, ძირითადი ბირთვი შემადგენლობა და აქვს კლუბის წევრების მიერ შემუშავებული მუშაობის წესი და ფორმატი, რომლითაც ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობისას.
მშობელთა კლუბი თავის საქმიანობებს ათანხმებს სკოლის ადმინისტრაციასთან.

5. მშობელთა კლუბის დაფუძნების შესახებ სკოლის საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები) ინფორმირება და წარდგენა

მშობელთა კლუბის ფორმირების შემდეგ, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა სკოლის ფართო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე წამოწყების შესახებ, მშობლების მოსაზრებების და მოლოდინების გაზიარება მშობელთა კლუბის თაობაზე, მათი ინტერესების გამოვლენა და მშობელთა კლუბის მხრიდან მათზე რეაგირების გეგმის განსაზღვრა.

ამავდროულად, მოცემული ეტაპი განიხილებოდა რომორც:

» სხვა დაინტერესებული მშობლების იდენტიფიცირების და მშობელთა კლუბში ჩართვის შესაძლებლობა, თუ ისინი აღნიშნულის თაობაზე სურვილს დააფიქსირებდნენ.

» მშობელთა კლუბის საქმიანობების სფეროს და სამომავლო სამოქმედო გეგმის დაზუსტება.

აღნიშნული ეტაპი მიზანშეწონილია განხორციელდეს სკოლის მშობლებთან პირისპირ შეხვედრების გზით. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შეხვედრაზე ყველა მშობლის მოწვევა შესაძლებელია ვერ მოხდეს, დამატებით რეკომენდებულია სოციალური საკომუნიკაციო არხების გამოყენება სკოლის ფართო საზოგადოების ინფორმირების და მათი მოსაზრებების გაზიარების მიზნით.

მშობელთა კლუბის წარდგენის მიზნით სკოლის მშობლებთან პირისპირ შეხვედრა, როგორც წესი სკოლაში გავრცელებული საკომუნიკაციო არხებით ორგანიზდება - კლასის დამრიგებლები კლასის საკომუნიკაციო ჯგუფების გამოყენებით იწვევენ მშობლებს მშობელთა კლუბის პრეზენტაციაზე.

მშობელთა კლუბის წევრები თავის მხრივ განსაზღვრავენ მშობლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობელთა კლუბის მიზნის და საქმიანობის სფეროს სხვა მშობლების წინაშე წარდგენას. მიზანშეწონილია მოცემული შეხვედრა წინასწარ განსაზღვრული განრიგით განხორციელდეს და მასში მონაწილეობა სკოლის ადმინისტრაციამ მიიღოს.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მშობელთა კლუბის საპრეზენტაციო მასალა



» მშობელთა კლუბის პრეზენტაციის დღის წესრიგი

» სკოლის ადმინისტრაციის მიერ მშობელთა კლუბის იდეის წარდგენა

» მშობელთა კლუბის წევრების წარდგენა/გაცნობა

» მშობელთა კლუბის საქმიანობის პირველადი გეგმის წარდგენა და დისკუსიის წახალისება გეგმის დაზუსტების მიზნით

» მშობელთა მოლოდინების გაცნობა

» კითვა/პასუხის სესის

ყოველთვის მნიშვნელოვანია მშობელთა კლუბის საზოგადოების წინაშე წარდგენა სკოლის ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობით მოხდეს. მშობელთა კლუბის მიმართ დაინტერესებას ზრდის, თუ მშობელთა კლუბის საჭიროების შესახებ მოსაზრებას სკოლის ადმინისტრაცია ღიად აფიქსირებს და უცხადებს მას ნდობას.

მშობელთა კლუბის დაფუძნებაზე სიახლის სოციალური საკომუნიკაციო არხებით გავრცელების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, მშობელთა კლუბის წევრებმა ელექტრონულად ჩამოაყალიბონ და აღწერონ მშობელთა კლუბის საქმიანობის მიზანი, ამოცანა და შემუშავებული კითხვარით, წაახალისონ მშობლები დაასახელონ მათთვის აქტუალური საკითხები (აღნიშნული ინფორმაციის მშობლებს შორის შესაძლებელია გავრცელდეს Google ფორმით.)

მშობელთა კლუბის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია გავრცელდეს სკოლის Facebook გვერდზე ან კლასის დამრიგებლების ჩართულობით გაზიარდეს მოსწავლეთა მშობლებთან.

6. მშობელთა კლუბის საქმიანობის სფეროების და მიმართულებების განსაზღვრა

სკოლის მშობლებისგან მოსმენილი/მიღებული მოსაზრებების დამუშავების შემდეგ განისაზღვრება ის აქტივობები და ღონისძიებები, რომელთა მიმართულებითაც მშობელთა კლუბი განახორციელებს საქმიანობას.

ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი სკოლის მიერ განსაზღვრული მიმართულებები და აქტივობები მშობელთა კლუბის ფარგლებში

1. საინფორმაციო შეხვედრის თემები მშობლებისთვის

- ბულინგის პრევენცია სკოლაში
- პოზიტიური მშობლობა, ქცევის მართვა
- კომუნიკაციისა და კავშირის შენარჩუნება თინეიჯერებთან
- მოზადთა მენტალური ჯანმრთელობა
- სკოლიდან განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიცია
- ცხოვრების ჯანმრთელი წესი

2. სკოლის განვითარების მხარდაჭერა

- მშობელთა კვირეულის მოწყობა
- სკოლის ეზოს მოწესრიგება
- მშობელთა კრებების ფორმატის ცვლილება

7. მშობელთა კლუბის მხრიდან აქტივობების განხორციელება

სკოლის საზოგადოების წინაშე მშობელთა კლუბის წარდგენის შემდეგ, მშობელთა კლუბი გადადის საქმიანობის აქტიურ რეჟიმზე.

კლუბის წევრების უპირველეს აქტივობებს წარმოადგენს:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრა - მაგ. Facebook გვერდის ფორმირება, რომლის გამოყენებითაც უზრუნველყოფილი იქნება მშობლის კლუბსა და სკოლის მშობლებს შორის უწყვეტი და ეფექტური კომუნიკაცია.

- » პრიორიტეტულად განსაზღვრული საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება
- » სკოლის განვითარების მხარდაჭერის მიზნით იდეების დამუშავება
- » მშობელთა კლუბის შეხვედრები შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც პირის-პირ ისე ონლაინ შეხვედრების ფორმატში.

შეხვედრების შედეგად მუშავდება პრიორიტეტულად განსაზღვრული საკითხები, იგეგმება საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები და სხვ.

ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი საჯარო სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული მშობელთა კვირეულის განრიგი:

მშობელთა კლუბის კვირეული				
N	თემა/აქტივობა	თემის/აქტივობის მოკლე აღწერა	შეხვედრის თარიღი და დრო	წამყვანი/წამყვანები
1	ინკლუზიური პროფესიული განათლება	საქართველოში პროფესიული განათლებაში არსებული შესაძლებლობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურა	05.06.20231 2:00 - 14:00	პროფესიული კოლეჯის სპეციალისტი
2	ბავშვის განვითარების თავისებურებები	ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქოემოციური განვითარების ეტაპების გაცნობა. მშობელსა და ბავშვს შორის მიჯაჭვულობის მნიშვნელობის გაცნობა.	07.06.20231 0:00 - 13:30	სკოლის ფსიქოლოგი
3	პოზიტიური მშობლობა	ფსიქო-განათლების როლი ბავშვის აღზრდის პროცესში. მშობლის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობიერება პოზიტიურ ჭრილში.	09.06.20231 0:00 - 11:00	სკოლის ფსიქოლოგები
4	მავნე ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები	ინფორმაციის მიწოდება ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ. რისკ ფაქტორები - რამ შეიძლება უბიძგოს ბავშვს მავნე ნივთიერების მოხმარებისაკენ. რჩევები და რეკომენდაციები	09.06.20231 1:00 - 12:00	სკოლის სოციალური მუშაკი
5	აღზრდის სტილები	აღზრდის სტილების გაცნობა და მისი შედეგების გაცნობიერება პიროვნების ფორმირებაში. როლური თამაში.	12.06.20231 0:00 - 11:00	სკოლის ფსიქოლოგები
6	არტ-თერაპიის გავლენა ბავშვის განვითარებაზე	სხვადასხვა არტ-აქტივობის და მასალის გამოყენება ბავშვის განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით. პრაქტიკული სავარჯიშო	12.06.20231 1:00 - 12:00	სკოლის სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგი
7	Floortime თერაპია	Floortime (იატაკის, ძირს თამაშის დრო) თერაპი დაფუძნებული ინდივიდუალურ განსხვავებებსა და ურთიერთობებზე (DIR).	13.06.20231 0.00 - 11.00	სსსმ მოსწავლის მშობელი

მნიშვნელოვანია, მშობელთა კლუბის წევრები მაქსიმალურად დამოუკიდებლად და გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად უზრუნველყოფდნენ ღონისძიებების ორგანიზებას - საკითხის დამოუკიდებლად დამუშავებას წარდგენისთვის ან სპიკერის განსაზღვრას, მოწვევას, ინფორმაციის Facebook გვერდით გავრცელებას, ინტერესის აღძვრას საზოგადოებაში მოცემული ღონისძიების მიმართ და სხვ.

მიზანშეწონილია, საინფორმაციო შეხვედრებს მოყვებოდეს რეფლექსია განხორციელებულ საქმიანობაზე - გაანალიზდეს შეხვედრის შედეგი, გამოწვევები და შემდეგი შეხვედრისთვის საყურადღებო საკითხები. ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მშობელთა კლუბს ჰქონდეს რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან გარკვეული საკითხების (მაგ. რესურსების მობილიზება) დაზუსტების მიზნით.

სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია პოზიტიური როლს თამაშობს მშობელთა კლუბს და სკოლას შორის თანამშრომლობის დამყარებაზე.

8. მშობელთა კლუბის საქმიანობის ფორმალიზება

მშობელთა კლუბის რეგულარული შეკრებების საფუძველზე დამფუძნებელ მშობლებს შორის ვლინდება ლიდერი მშობელი/მშობლები; ასევე ზუსტდება და ნათელი ხდება ფუნქციათა გადანაწილება კლუბის წევრებს შორისაც.

აღნიშნული ეტაპის შემდეგ, მნიშვნელოვანია, მშობელთა კლუბმა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (კენჭისყრის გზით) აირჩიოს თავჯდომარე და დაარეგულიროს საქმიანობა - მშობელთა კლუბის საქმიანობის წესის/დებულების შემუშავების და მიღების გზით.

შენიშვნა: მშობელთა კლუბის საქმიანობა შესაძლებელია ფორმალიზდეს კლუბის ფორმირების საწყის ეტაპზევე, ან მას შემდეგ, რაც მშობელთა კლუბის წევრები პრაქტიკის შედეგად უკეთ გაერკვევიან მშობელთა კლუბის საქმიანობაში, შეიძენენ ერთმანეთთან თანამშრომლობის გამოცდილებას.

მშობელთა კლუბის ფუნქციონირება: ფასილიტაციიდან – პროაქტიულ დამოუკიდებელ საქმიანობამდე

საჯარო სკოლებში მშობელთა კლუბების დაფუძნება განხორციელდა პროექტის ფარგლებში.

აღნიშნულმა პროექტმა უზრუნველყო შესაძლებლობა მშობელთა კლუბის ფორმირება მომხდარიყო მენტორის მხარდაჭერით.

მენტორობა ხორციელდებოდა სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, დამფუძნებელ მშობლებთან ფიზიკური და ონლაინ შეხვედრების ფორმატში. მენტორი შესაძლებლობის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფდა მონაწილეობის მიღებას სკოლის და მშობელთა კლუბის დაგეგმილ ღონისძიებებში. მენტორობა გულისხმობდა მშობელთა კლუბის ფორმირების თვის სავალდებულო ეტაპების თანმიმდევრული განხორციელების მხარდაჭერას, მათ მნიშვნელობაზე, განხორციელებაზე მსჯელობას, ორგანიზებაში დახმარებას, განხორციელების შემდეგ მათზე რეფლექსიის უზრუნველყოფას და სხვ.

მენტორის მხარდაჭერა ავსებდა სკოლაში მშობელთა კლუბის დაფუძნების გამოცდილების ნაკლებობას/ არ არსებობას.

მენტორის მიზანს წარმოადგენდა პროცესი თანმიმდევრულად განხორციელებულიყო, მისი ყოველი ეტაპის გააზრების საფუძველზე; ამავდროულად მენტორის ამოცანად რჩებოდა საკუთარი ჩართულობის ინტენსივობის თანმიმდევრულად შემცირება და მშობელთა კლუბის იმგვარად გაძლიერება, რომ მას თავად და პროაქტიულად დაეწყო მოქმედება (განესაზღვრა შემდეგი საქმიანობა, უზრუნველეყო თვითორგანიზება და სხვ.)



მშობელთა კლუბის თანამშრომლობა სკოლასთან, მშობლებთან

იმ შემთხვევაში თუ მშობელთა კლუბის დაფუძნების ინიციატივა სკოლის მხრიდან მოდის, საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი და ინტენსიურია სკოლის მასწავლებელთა ჩართულობა ამ პროცესში. ისინი უზრუნველყოფენ:

- » იდეის დამუშავებას და გადაწყვეტილების მიღებას მის მხარდასაჭერად
- » მშობლებისთვის იდეის გაცნობას და მათი ინტერესის გაღვივებას აღნიშნული ინიციატივის მიმართ
- » აქტიური მშობლების რეკრუტირებას და მშობელთა კლუბის ფორმირება/დაკომპლექტებას
- » მშობელთა კლუბის წევრების მხარდაჭერას სკოლის სხვა მშობლების წინაში მშობელთა კლუბის ინიციატივის წარდგენისას

აღნიშნული აქტივობების შემდეგ ინიციატორი მასწავლებლების ჩართულობა მშობელთა კლუბის ფუნქციონირების პროცესში როგორც წესი მცირდება და ინიციატივის გადაბარება ხდება მშობელთა კლუბში გაერთიანებული მშობლებისთვის.



მშობელთა კლუბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გამოწვევები

გამოცდილების სიახლის გამო, მშობელთა კლუბის დაფუძნებას შესაძლებელია თან ახლდეს გარკვეული გამოწვევები.

შესაძლო გამოწვევებია:

- » მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა ბუნდოვანი წარმოდგენები მშობელთა კლუბის საქმიანობაზე
- » მშობელთა კლუბის ფუნქციონირებისთვის და მათ მიერ განსაზღვრული ინიციატივების რეალიზებისთვის რესურსების სიმწირე
- » სკოლის მხრიდან ბუნდოვანი წარმოდგენები მშობელთა კლუბის ფორმირებაზე და მშობელთა კლუბთან თანამშრომლობის საკითხებზე, მხარდაჭერის ფორმაზე (მიუხედავად იმისა, რომ გავლილი ჰქონდათ ტრენინგი მშობელთა კლუბის შესახებ)
- » მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა კომპეტენციის სიმწირე ისეთ საკითხებში როგორიცაა: ფონდების მოძიება, პროექტების წერა, მართვა
- » მშობელთა კლუბის დამფუძნებელ მშობელთა თვითორგანიზაციური უნარების ნაკლებობა (ერთმანეთთან კომუნიკაციის ინიცირება, აქტივობების დამოუკიდებელი დაგეგმვა-განხორციელება ფასილიტაციის გარეშე და სხვ.)

რეკომენდაციები შეძენილი გამოცდილების საფუძველზე

მშობელთა კლუბის ეფექტურ და გაუმჯობესებულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს და განაპირობებს შემდეგი ფაქტორები, რომლებიც რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სკოლების მიერ ანალოგიური ინიციატივის განხორციელების მცდელობისას:

- » მშობელთა კლუბის ფორმირების პროცესის დაწყება ახალი სასწავლო წლიდან მალევე (რადგან, მშობელთა კლუბის დაფუძნებას პროაქტიულ და დამოუკიდებელ ფუნქციონირებამდე მნიშვნელოვანი დრო სჭირდება)
- » სკოლის თემის (ადმინისატრაციის, მასწავლებლების) ტრენინგი მშობელთა კლუბის მნიშვნელობაზე, საჭიროებაზე, საქმიანობაზე, სკოლასთან თანამშრომლობაზე
- » დამფუძნებელ მშობელთა ტრენინგი (მინ. სამდღიანი) მშობელთა კლუბის საქმიანობაზე
- » დამფუძნებელ მშობელთა ტრენინგი სპეციფიურ საკითხებში (ფონდების მოძიება, პროექტების წერა, პოზიტიური მშობლობა, მენეჯმენტის საბაზისო საკითხები, პოზიტიური კომუნიკაციის ტექნიკები, სკოლის კულტურა და სხვ.)
- » დირექციის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა მშობელთა კლუბის ფორმირების ყველა ეტაპზე
- » სკოლის მხრიდან მშობელთა კლუბის მიმართ ნდობის ღიად გამოცხადება და ფუნქციონირების მხარდაჭერა (სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, დაგეგმილ შეხვედრებზე დასწრება და სხვ.); გაერთიანებული სამუშაო შეხვედრების პრაქტიკის დამკვიდრება სკოლასა და მშობელთა კლუბს შორის
- » მშობელთა კლუბის წევრებს შორის რეგულარული შეხვედრების პრაქტიკის დამკვიდრება; მშობლებისათვის სასიამოვნო, მხარდამჭერი ფიზიკური სივრცის შეთავაზება სადაც ისინი შეძლებენ საქმიანობას
- » მშობელთა კლუბში მშობელთა წარმომადგენლობითი ჯგუფის უზრუნველყოფა (მშობლების ყველა საფეხურიდან, სსსმ მოსწავლეთა მშობლები, არაქართულენოვანი სექტორის მშობლები, გენდერული ბალანსი)
- » მშობელთა კლუბის დებულების დროული მიღება და მისი დაცვა
- » მშობელთა კლუბის მშობელთა კლუბის წევრებს შორის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ გადანაწილება (მაგ. Facebook გვერდის მართვა, სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია, სხვა მშობლებთან კომუნიკაცია, სკოლის გარეთ კომუნიკაცია (მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კერძო სექტორთან), რესურსების მოძიება, და სხვ.), საქმიანობის მკაფიო გეგმის შემუშავება და მისი მიყოლა
- » მშობელთა კლუბის აქტივობებისას სკოლაში მშობელთა მრავალფეროვანი წარმომადგენლობის გათვალისწინება (მაგ. შეხვედრების მისაწვდომობა მშობლებისთვის ლინგვისტური უმცირესობიდან/ არაქართულენოვანი სექტორიდან)
- » გამოცდილების გაზიარება სხვა სკოლების მშობელთა კლუბებს შორის
- » მშობელთა კლუბის და სკოლის დირექციის გარე მხარდაჭერა (ქოუჩინგი მშობელთა კლუბის ფუნქციონირების საკითხებზე) სულ მცირე ერთი წლის მანძილზე

გამოყენებული წყაროები

- G. Olsen|M.L. Fuller Copyright © 2017 Education.com
- FAMILY - SCHOOL PARTNERSHIPS FRAMEWORK - A guide for schools and families. Australian Government. Department of Education, Employment and Workplace Relations
- Parental Involvement as a Important Factor for Successful Education, c e p s Journal | Vol.7 | No 3 | Year 2017
- Parents' Clubs (education.vic.gov.au)
- https://www2.education.vic.gov.au/pal/parent-clubs